აზიისა და სპარსეთის ყურის
ქვეყნების ბიზნესპალატა
BUSINESS CHAMBER OF
ASIAN & GULF COUNTRIES

RIITI
RESEARCH INSTITUTE OF
INTERNATIONAL TRADE
AND INVESTMENT

გზა მუდმივი განვითარებისთვის

თბილისი

2023

www.bcagc.org

სარჩევი

1.Business Chamber of Asian and Gulf Countries

1.დავით ცირდავა-აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი 1

2.ბიზნესპალატის მისია 2

1.მისიის განაცხადი 3
2.ბიზნესპალატის ღირებულებები 5
3.სოციალური პასუხისმგებლობის განაცხადი 5
4.არსებული სიტუაციის ანალიზი 6
5.სტრატეგიული პრიორიტეტები 10
6.სტრატეგიული პრიორიტეტების შინაარსი 11

2. საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კვლევითი ინსტიტუტის (RIITI) შესახებ 15

1.გიორგი ოთარიძე - საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კვლევითი ინსტიტუტის (RIITI) აღმასრულებელი დირექტორი 16
თავი I. ზოგადი დებულებები 18
თავი II. კვლევითი ინსტიტუტის სტრუქტურული მოწყობა 19
თავი III. კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის ფორმატი და კვლევითი საქმიანობის წარმართვის წესი 22

3.საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კვლევითი ინსტიტუტის (RIITI) ექსპერტები 23

აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატა

სტრატეგია

თბილისი
2023

დავით ცირდავა

აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი

დავით ცირდავას როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სწავლის შედეგად იგი დაეუფლა ინჟინერიისა და სამართლის სპეციალობას. აკადემიის წარჩინებით დასრულების შემდეგ იგი ამავე სამინისტროში დასაქმდა და 23 წლის განმავლობაში ეკავა მაღალი თანამდებობრივი პოზიციები. დავით ცირდავა მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციაში და მონაწილეობდა (2003 წლიდან) საპატრულო და კრიმინალური პოლიციის რეფორმირების პროცესში. ამასთან, დავით ცირდავა ხელმძღვანელობდა ანალიტიკურ სამმართველოს და მიგრაციის დეპარტამენტს. საჯარო სამსახურში მისი საქმიანობიდან გამომდინარე, დავით ცირდავას მოპოვებული აქვს არაერთი ჯილდო, ასევე პოლკოვნიკის წოდება.

2017 წლიდან დავით ცირდავამ კერძო სექტორში გადაინაცვლა, სადაც ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან ერთად განაგრძო საქმიანობა. ქუვეითელმა და ქართველმა ბიზნესმენებმა, რამდენიმე პროექტის წარმატებით გახორციელების შემდეგ, გადაწყვიტეს შეექმნათ უნივერსალური საკონსულტაციო-საინვესტიციო კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობა იქნებოდა საკონსულტაციო მომსახურების გაწევა დაინტერესებული კომპანიებისთვის და სავაჭრო პროექტების ფართო სპექტრის შეთავაზება. საინვესტიციო კომპანია

აღნიშნულმა საქმიანობამ და ოპერირების მასშტაბების ზრდამ ქართველ და აზიელ ბიზნესმენებს ნათლად დაანახა ბიზნეს გაერთიანების შექმნის საჭიროება, რომელიც დაეხმარებოდა სხვადასხვა ქვეყანაში და სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ ბიზნეს სუბიექტებს როგორც საქართველოში საკუთარი საქმიანობის წამოწყების ან გაფართოების, ასევე დამატებით სახელისუფლებო რგოლებთან კომუნიკაციის გამარტივებისა და ლიბერალური საინვესტიციო გარემოს უკეთ ათვისების კუთხით. შედეგად, შეიქმნა ,,აზიისა და

ბიზნესპალატის მისია

ბიზნესპალატის მისიაა:
ბიზნესპალატის მისიაა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერება და ახალი კავშირების დამყარება აზიის, სპარსეთის ყურისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ბიზნეს სუბიექტებს შორის. ასევე, ევროპის, ამერიკის, ოკეანიისა და აფრიკის ქვეყნებთან; ამ მიზნით:
-ქვეყანათაშორისი და სექტორული კვლევების მეშვეობით საექსპორტო დერეფნებისა და საინვესტიციო სივრცეების გამოვლენა;
საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების გაძლიერება.

-ბიზნესპალატის წევრ 46-ივე ქვეყანაში წარმომადგენლობების გამყარება და ბიზნესსუბიექტებსა და სამთავრობო/არასამავრობო უწყებებს შორის პირდაპირი საკომუნიკაციო არხების გამართვა; ქვეყნებსა და კორპორაციებს შორის ქვეყანათაშორისი,
-წარმომადგენლობის გაფვართოება 80-მდე ქვეყანაში;
-ბიზნესპალატის წევრებისთვის საერთაშირისო საექსპორტო ბაზრებსა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და ამ პროცესში ეკომეგობრული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერების წახალისება;
-კვალიფიციური მუშახელის საბაზრო მოთხოვნის შესაბამისად ადამიანური კაპიტალის განვითარება და ცოდნაზე დამყარებული სისტემების ჩამოყალიბება;
-მემორანდუმის განხორციელება WTO-სთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატასა და გაეროს ორგანიზაციებთან, ევროკავშირისა და ჩრდილოეთ ამერიკის სხვა ბიზნეს საბჭოებთან და სავაჭრო პალატებთან, გარდა იმ ორგანიზაციებისა, როგორებიცაა BRICS, OECD, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციები.

მისიის განაცხადი

მისიაზე შეთანხმების შემდეგ შემუშავდა ორგანიზაციის ხედვის კომპონენტები. დამგეგმავი ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ მთავარ კრიტერიუმებზე - თუ რამდენად დიდი უნდა იყოს პალატა, ვინ იქნება მისი წევრი, როგორ შეუწყობს პალატა ხელს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებას და სხვა.
ხედვის ფარგლებში 5 წლიანი ვადით განისაზღვრა ბიზნესპალატის მიზნობრივი ინდიკატორები:
-ბიზნესპალატა სტრუქტურულად ძლიერი ორგანიზაციაა, რომელსაც წარმომადგენლობა 46-ვე წევრ ქვეყანაში ჰყავს;
-ბიზნესპალატის ინფორმირებულობის ინდექსი ბიზნესწრეებსა და

სამთავრობო ორგანიზაციებში საშუალოდ 60%-ია, ხოლო პალატის წევრებს შორის ნდობის ინდექსი - საშუალოდ 90%.
-ბიზნესპალატის წევრები არიან ეკონომიკის სექტორების საშუალო და მსხვილი ბიზნეს საწარმოებიდან დივერსიფიცირებული ადგილობრივი და საერთაშორისო სუბიექტები;
-ბიზნესპალატის ექსპერტთა საბჭო მოსაზრებათა ლიდერია ბიზნეს საზოგადოებაში; მის კვლევებსა და სტატისტიკურ მონაცემებს ენდობიან და იყენებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესსუბიექტები და ორგანიზაციები; საბჭო სექტორულ და ქვეყანათაშორის საჩვენებელ დისკუსიებს მინიმუმ კვარტალში ერთხელ ატარებს და სიმპოზიუმებისა და კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციების საფუძველზე ყოველწლიურად აწყობს საერთაშორისო კონფერენციებს/საერთაშორისო სავაჭრო ფორუმებს;
-ბიზნესპალატა ყოველ 2 წელიწადში ერთხელ მსოფლიო ბიზნესფორუმს წარმართავს და პერიოდულად ატარებს ქვეყანათაშორის ბიზნესფორუმებს როგორც ადგილობრივად, ისე ამიერკავკასიაში, აზიაში, ევროპაში, ამერიკაში, აფრიკასა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში, რომლებშიც ბიზნეს სუბიექტები და სამთავრობო უწყებები მაღალ ჩართულობას ავლენენ:
-ბიზნესპალატის აქტიური სავაჭრო პორტფელი საშუალოდ 10 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო პოტენციური სავაჭრო პორტფელი საშუალოდ 30 მილიარდი აშშ დოლარი:
-ბიზნესპალატის ფარგლებში შეიქმნა საერთაშორისო საინვესტიციო ფონდი საშუალოდ 2 მილიარდი აშშ დოლარის ბიუჯეტით; ბიზნეს პალატის მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტების ჯამური მოცულობა, მათ შორის მწვანე ინვესტიციების
-ბიზნესპალატამ მინიმუმ 200 ადამიანი გადაამზადა, რომელთა დასაქმების საშუალო მაჩვენებელი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე 85%-ია;

ბიზნესპალატის ღირებულებები

-პატივისცემა - სხვადასხვა სახელმწიფოების, კულტურისა და მრავალფეროვანი საზოგადოებების მიმართ პატივისცემის უმაღლესი სტანდარტების დაცვა.
-კეთილსინდისიერება - ბიზნესპალატების მორალური დონის დანერგვის პრინციპების უმაღლესი სტანდარტების დაცვა საქმიანი და არა ბიზნეს საქმიანობის მეშვეობით.
-ვალდებულება - ბიზნესპალატის მიმართ ვალდებულებისა და ერთგულების უმაღლესი სტანდარტების დაცვა.
-სრულყოფილება-პროფესიონალიზმის უმაღლესი სტანდარტების დაცვა.

სოციალური პასუხისმგებლობის განაცხადი

ბიზნესპალატა თავისი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში:
-წარმართავს ეროვნული დღესასწაულების აღმნიშვნელ ღონისძიებებს წევრ ქვეყნებს შორის;
-ინარჩუნებს გადამწყვეტ როლს გაეროს გლობალურ სივრცეში და ხელს უწყობს ბიზნეს ღირებულებების პოპულარიზაციას, რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ღირებულებების ჯაჭვის გაძლიერებას ბიზნეს სექტორში.
-მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობისა და განხორციელების გარდა, დამატებით ხელს უწყობს გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელებას, რომელიც უკავშირდება მდგრადი და ეკონომიკური განვითარების მიზნებს.

გარემოს ანალიზი
გეოგრაფიული ფაქტორები:
-საქართველოს ტრანზიტული დერეფნის პოტენციალის მქონე მდებარეობა;

ეკონომიკური ფაქტორები:
-საერთაშორისო და ქყეყანათაშორისი სავაჭრო შეთანხმებები;
-ზოგიერთი რუსული საექსპორტო პროდუქციის სანქცირება სხვადასხვა ქვეყნის მიერ;
-რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული გართულებული ექსპორტი და ლოჯისტიკური
გამოწვევები;
-ევრაზიის კავშირს შორის არსებული და სამომავლო შეთანხმებები ლიბერალური სავაჭრო პირობების, მათ შორის შეღავათიანი საბაჟო ტარიფების შესახებ;
-ევროკავშირთან, ლათინო-ამერიკის და ოკეანეთის ქვეყნებთან არსებული და სამომავლო შეთანხმებები, მათ შორის შეღავათიანი ლიბერალური საბაჟო ტარიფების შესახებ;
-აზიის ქვეყნებსა და რუსეთს შორის ცალკე დადებული შეთანხმებები შეღავათიანი ვაჭრობის პირობებზე
პოლიტიკური ფაქტორები
-რუსეთ - უკრაინის მიმდინარე ომი;
-სომხეთ-აზერბაიჯანის ომი და მიმდინარე კონფლიქტი;
-საქართველოსა და რეგიონში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა;
-რუსეთის, აზიასა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის არსებული გარკვეული პოლიტიკური თანხმობა.
-აზიის, აფრიკის, ლათინო-ამერიკის, ოკეანეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობების არარსებობა საქართველოში

სავიზო და უვიზო რეჟიმები
-უვიზო რეჟიმი ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ოკეანეთის, სპარსეთის ყურის ზოგიერთ სახელმწიფოსთან;
-აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ოკეანეთის, სპარსეთის ყურის ზოგიერთ სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთისას შექმნილი დაბრკოლებები;.

ძლიერი მხარეები
ქვეყნის ჭრილში
-ქვეყნის სტრატეგიული ადგილმდებარეობა;
-ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობა;
-ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები;
-მოდერნიზებული ლიცენზირების სისტემა:
-საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები;
-ოპტიმალური სახელფასო განაკვეთები;
-უვიზო რეჟიმები ქვეყნების უმეტესობასთან.
-ბიზნესის დაარსების გაადვილების ხელშემწყობი სხვა ფაქტორების ჩათვლით;

ბინესპალატის ჭრილში:
-კონკრეტული სტრატეგიული გეგმა და სტრუქტურირებული სამოქმედო გეგმა მზად არის განსახორციელებლად;
-მტკიცე ხედვა და მისია;
-კონტაქტები/კავშირები - აზიის, აფრიკის, ლათინო-ამერიკის, ოკეანეთის, სპარსეთის ყურის ქვეყნების სამთავრობო და ბიზნეს სექტორებთან, მათ შორის იაფ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, დაბალპროცენტიანი ფინანსური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა;
-პოტენციური საექსპროტო პორთფელი 2 მლრდ აშშ დოლარამდე ოდენობით;
-წარმომადგენლობები აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ოკეანეთის, სპარსეთის ყურის 13 ქვეყნის დედაქალაქში საპატიო კონსულების სახით;

სუსტი მხარეები
ქვეყნის ჭრილში:
-სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის დაბალი ინდექსი ბიზნესის მხრიდან;
-ქვეყანაში შემოსვლისა და ვიზების გაცემის პროცესში არსებული შეფერხებები/გამოწვევები;
-აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ოკეანეთის და სპარსეთის ყურის ზოგიერთი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების არარსებობა საქართველოში;
ბიზნესპალატის ჭრილში
-არასაკმარისი ადამიანური რესურსები;
-ორგანიზაციული ნაბიჯების რეფორმირების პროცესი;
-ფინანსური რესურსების არამდგრადი და არადივერსიფიცირებული წყაროები.
შესაძლებლობები
ქვეყნის ჭრილში:
-სავაჭრო დერეფნის პოტენციალი, განსაკუთრებით ახალი ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი: ანაკლია
-საინვესტიციო პოტენციალი;
-საქართველოს საერთაშორისო-სავაჭრო შეთანხმებები ევროკავშირთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან;
-საექსპორტო ბაზრების ცვალებადობის მზარდი ინდექსი;
-წევრ სახელმწიფოებში აკუმულირებული ფინანსური რესურსები;
-წევრი სახელმწიფოების განვითარებადი ეკონომიკა.
ბიზნესპალატის ჭრილში:

-არსებული კონტაქტების გამოყენებით ძლიერი საკომუნიკაციო არხების გამართვის შესაძლებლობა;
-პალატის არსებული საექსპორტო პორთფელის ათვისების რესურსი.

საფრთხეები
-სტრატეგიული: (ევროკავშირთან ურთიერთობის გამწვავება; რუსეთიდან საექსპორტო პროდუქციის ტრანსპორტირებისას ლოჯისტიკის პოტენციური გართულება; რეგიონში მიმდინარე კონფლიქტების ფონზე შექმნილი უარყოფითი მოლოდინები; რუსეთის მიერ ატომური იარაღის გამოყენების საფრთხე);
-სამართლებრივი: პროდუქციის წარმოებასა და იმპორტთან დაკავშირებული ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციების შესაძლო ცვლილებები;
-რეპუტაციული: საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და
-ოპერაციული: ადამიანური რესურსების არასაკმარისი რაოდენობა/კვალიფიკაცია ან გადინება; სტაფის მიერ შიდა რესურსების ბიზნესპალატის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება (წარმომადგენლობების ჩათვლით); კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება;
-ფინანსური: წევრების არასაკმარისი ან დაგვიანებული შემონატანი, დადებული კონტრაქტების შესრულებისას წარმოშობილი შეფერხებები; საშუამავლო ხელშეკრულებების საფუძველზე საკომისიოების განაწილებასთან/გადახდასთან დაკავშირებული საფრთხეები. ინვესტიციის დროს ფულის წყაროს იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული საფრთხეები; რუსეთთან ურთიერთობის გამო უცხოური – ევროპული ბანკების გასვლა, როგორიცაა მაგალითად Deutsche Bank.
-ფორსმაჟორული: პანდემია და ომი.



სტრატეგიული პრიორიტეტები

ხედვის შეთანხმებული სამიზნე ნიშნულებისა და SWOT ანალიზის შედეგად გამოკვეთილი საკითხების გადასაწყვეტად ბიზნესპალატის სტრატეგიული პრიორიტეტები შვიდწლიან ჭრილში განისაზღვრა. ჯამში გამოიკვეთა შვიდი სტრატეგიული მიმართულება:

I სტრატეგიული პრიორიტეტი - ბიზნესპალატის ორგანიზაციულ-სტრუქტურული გაძლიერება, მათ შორის ბიზნესპალატის წევრ 46 ქვეყანაში ფილიალებისა და წარმომადგენლობების რაოდენობის ზრდა; მათი გაფართოება 80-მდე ქვეყანაში;

II სტრატეგიული პრიორიტეტი - ბიზნესპალატაში საშუალო და მსხვილი ბიზნესსუბიექტებისა და ორგანიზაციების გაწევრიანება, მათთვის მაღალეფექტიანი საკონსულტაციო-იურიდიული სერვისებისა და ამიერკავკასიის, აზიის, ევროპის, ლათინური ამერიკის, აფრიკის და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნეს და სამთავრობი უწყებებთან ძლიერი საკომუნიკაციო-საინფორმაციო პლატფორმის უზრუნველყოფა;

III სტრატეგიული პრიორიტეტი - საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს ფორმირება და ბიზნესპალატის წევრებისა და ფართო საზოგადოებისთვის პოტენციური საავაჭრო დერეფნებისა და ხელსაყრელი საინვესტიციო სივრცეების შესახებ ექსპერტული დასკვნების გაზიარება;

IV სტრატეგიული პრიორიტეტი - ბიზნესპალატის წევრებისთვის საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომისა და საავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, მათ შორის ექსპორტის ხელშეწყობა;

V სტრატეგიული მიმართულება - სართაშორისო ფინანსური რესურსების მოზიდვა, საინვესტიციო ფონდის შექმნა და საინვესტიციო პროექტების, მათ შორის მწვანე ეკონომიკაზე ორიენტირებული, მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური პროექტების ინვესტირების ხელშეწყობა;

VI სტრატეგიული პრიორიტეტი - გლობალური ბიზნესფორუმისა და ქვეყანათაშორისი ეკონომიკური ღონისძიებების გამართვა;

VII სტრატეგიული პრიორიტეტი - სოციალური და კულტურული პროექტების განხორციელების გზით, ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და კონფლიქტური რეგიონების ხალხთა შორის დიალოგის გაღრმავება;
VIII სტრატეგიული პრიორიტეტი - ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, საერთაშორისო შრომის ბაზრებზე მოთხოვნადი ადამიანური კაპიტალის განვითარება და ცოდნის ექსპორტი.

სამუშაო ჯგუფმა მოახდინა სტრატეგიული მიმართულებების კლასიფიცირება მათი პრიორიტეტულობის გათვალისწინებით და შეთანხმდა, რომ პირველი წლის ჭრილში ბიზნესპალატის მმართველი გუნდის განსაკუთრებული დრო, რესურსები და ყურადღება დაეთმოს I, III, IV და V სტრატეგიულ მიმართულებებს.

სტრატეგიული პრიორიტეტების შინაარსი

I სტრატეგიული პრიორიტეტი - ბიზნესპალატის ორგანიზაციულ-სტრუქტურული გაძლიერება, მათ შორის ბიზნესპალატის წევრ 46 ქვეყანაში ფილიალებისა და წარმომადგენლობების გაფართოვება - მოიცავს:
-ბიზნესპალატის სტრატეგიული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას;
-ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის გამართვა და დანერგვას;
-შიდა სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და დანერგვას;
-ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარებას;
-ფინანსური რესურსების დაგეგმვისა და მართვის პროცესის განვითარებას;

-ცენტრალური ოფისის ინფრასტრუქტურულად გამართვას;
-ბისნესპალატის წარმომადგენლობების გაფართოვებასა და ორგანიზაციულ-სტრუქტურულ გამართვას.

II სტრატეგიული პრიორიტეტი - ბიზნესპალატაში საშუალო და მსხვილი ბიზნეს სუბიექტებისა და ორგანიზაციების გაწევრიანება, მათთვის მაღალეფექტიანი საკონსულტაციო-იურიდიული სერვისებისა და ამიერკავკასიის, აზიის, ევროპის, ლათინური ამერიკის, აფრიკის და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნეს და სამთავრობო უწყებებთან ძლიერი საკომუნიკაციო-საინფორმაციო პლატფორმის უზრუნველყოფა - მოიცავს:
-პალატის წევრების რაოდენობრივი და ხარისხობრივ ზრდას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
-პალატის წევრებისთვის მაღალეფექტიანი საკონსულტაციო-იურიდიული სერვისების გამართვას.
III სტრატეგიული პრიორიტეტი - საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს ფორმირება და ბიზნესპალატის წევრებისა და ფართო საზოგადოებისთვის პოტენციური საავაჭრო დერეფნებისა და ხელსაყრელი საინვესტიციო სივრცეების შესახებ ექსპერტული დასკვნების გაზიარება - მოიცავს:
-საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს ფორმირებასა და

-კვლევის განხორციელებას ადგილობრივ და საერაშორისო დონეზე მაღალკონკურენტიანი საექსპროტო პოტენციალის მქონე რესურსების გამოვლენის მიზნით;
-კვლევის განხორციელებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ხელსაყრელი საინვესტიციო სივრცეების გამოვლენის მიზნით;
-ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრების კვლევა და მოთხოვნადი ადამიანური რესურსების გამოვლენას;
-პანელური დისკუსიებისა და საერთაშორისო კონფერენციების მოწყობასა და ყოველწლიური ჟურნალის გამოცემას.

IV სტრატეგიული პრიორიტეტი - ბიზნესპალატის წევრებისთვის საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, მათ შორის ექსპორტის ხელშეწყობა - მოიცავს:
-მაღალკონკურენტუნარიანი საექსპორტო საქონლის მომწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება;
-ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა.

V სტრატეგიული მიმართულება - სართაშორისო ფინანსური რესურსების მოზიდვა, საინვესტიციო ფონდის შექმნა და საინვესტიციო პროექტების, მათ შორის მწვანე ეკონომიკაზე ორიენტირებული, მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური პროექტების ინვესტირების ხელშეწყობა - მოიცავს:
-საერთაშორისო ფინანსური რესურსების მოზიდვას;
-საინვესტიციო ფონდის შექმნას;
-ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების მოძიებასა და შეფასებას.
VI სტრატეგიული პრიორიტეტი - გლობალური ბიზნესფორუმისა და ქვეყანათაშორისი ეკონომიკური ღონისძიებების გამართვა - მოიცავს:
-გლობალური ბიზნესფორუმის ღონისძიების გამართვას;
-ქუვეით-საქართველოს ბიზნესფორუმის გამართვას;
-ქვეყანათაშორისი ბიზნესფორუმის გამართვას.

VII სტრატეგიული პრიორიტეტი - სოციალური და კულტურული პროექტების განხორციელების გზით, ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და კონფლიქტური რეგიონების ხალხთა შორის დიალოგის გაღრმავება - მოიცავს:

-ქუვეით-საქართველოს ურთიერთობის 30 წლისადმი მიძღვნილ ღონისძებას;

-განათლებული ახალგაზრდა წარმატებული ბიზნესისთვის;

-გაზაფხული აბრეშუმის გზაზე.

VIII სტრატეგიული პრიორიტეტი - ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, საერთაშორისო შრომის ბაზრებზე მოთხოვნადი ადამიანური კაპიტალის განვითარება და ცოდნის ექსპორტი - მოიცავს.

-საერთაშორისო შრომის ბაზრებზე მოთხოვნადი ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ცოდნის ექსპორტს.



RESEARCH INSTITUTE OF INTERNATIONAL TRADE AND INVESTMENT

საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კვლევითი ინსტიტუტის (RIITI) შესახებ

ბატონი გიორგი ოთარიძე

საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კვლევითი ინსტიტუტის (RIITI) აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი ოთარიძე 2023 წლიდან არის საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კვლევითი ინსტიტუტის (RIITI) აღმასრულებელი დირექტორი, ამასთან ერთად, იგი გახლავთ აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნეს პალატის თანა-დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი. ასევე, ქართულ-ამერიკული საკონსულტაციო კომპანიის, SunBreath Corp. Legal Services LLC (SBC Legal) დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორია. კომპანიის დაფუძნებამდე, გიორგი მუშაობდა RSM Georgia-ში იურიდიული მიმართულების დირექტორად, ასევე დასაქმებული იყო DLA Piper Georgia-ში.

მისი იურიდიული პრაქტიკა ფოკუსირებულია კორპორატიულ, საბანკო, საფინანსო, სახელშეკრულებო, საგადასახადო სამართალსა და სასამართლო წარმომადგენლობაზე. გიორგი მუშაობდა იურიდიულ მრჩევლად კომპანია ,,Chemonics Georgia GMSE Project''-ში, საქართველოს მიკროსაფინანსოების სტაბილიზაციისა და გაძლიერების პროექტზე. გიორგის აქვს მუშაობის გამოცდილება იურიდიულ მრჩევლად კომპანია ,,Chemonics Georgia GMSE Project''-ში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მიმართულებით. იგი ასევე იკავებდა იურიდიული განყოფილების უფროსის თანამდებობას FINCA Georgia-ში. კომპანიაში მუშაობის პერიოდში, მისი უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა უზრუნველყოფილი და სოლიდარული სესხების დეპარტამენტის სამართლებრივი სტრუქტურა, რომელიც ემსახურებოდა 5 800-ზე მეტ კლიენტის პორტფოლიოს. გიორგი ოთარიძეს სამართლის ბაკალავრის

ხარისხი მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იგი ასევე წარჩინებით ფლობს ფრანკფურტის მაინის საბანკო აკადემიის საბანკო ექსპერტის დიპლომს.

იურიდიული პრაქტიკის პარალელურად, გიორგი აქტიურად იყო ჩართული კანონშემოქმედებით პროცესებში. იგი თანაავტორია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების, რომლითაც განისაზღვრა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატუსი. წლების განმავლობაში გიორგი ოთარიძე ემსახურებოდა სხვადასხვა ქართულ კომერციულ ბანკს კორპორატიულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბანკების რეგისტრაციისა და სრული საბანკო ლიცენზიის მოპოვების, კორპორატიულ და შრომით საკითხებში. გიორგი ასევე ახორციელებდა მოთხოვნათა უზრუნველყოფის რეგისტრაციას, საერთაშორისო ანგარიშების გახსნას და ა.შ. გიორგი EU TACIS-ის პროგრამასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს უწევდა წარმომადგენლობას და მომსახურებას მრავალ საკითხში, მათ შორის, რეგისტრაციის, რეორგანიზაციის, გაკოტრების, საგადასახადო საკითხებსა და სასამართლო წარმოებებში. წლების განმავლობაში გიორგი ოთარიძე წარმოადგენდა სხვადასხვა ორგანიზაციას საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებში. გიორგი ICSID-ის არბიტრაჟში წარმოადგენდა საქართველოს მთავრობას. იგი წარმოადგენდლობას უწევდა მსხვილ საერთაშორისო ნავთობკომპანიებს საქართველოს სასამართლოებში სხვადასხვა საქმეებზე, რომლებიც წარმოიშვა საქართველოდან ტრანზიტული სამი ნავთობისა და გაზსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად, მათ შორის ქონებრივი ზიანის, გარემოსდაცვითი და გზის უფლების დავებში.

თავი I. ზოგადი დებულებები

I. ზოგადი დებულებები

საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კვლევითი ინსტიტუტის (RIITI) მისია საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტი ვაჭრობა და ინვესტიციები - RIITI (შემდგომში „ინსტიტუტი“) არის აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც საერთაშორისო ექსპერტების მეშვეობით ახორციელებს კვლევით საქმიანობას საერთაშორისო სავაჭრო დერეფნების, ხელსაყრელი საინვესტიციო სივრცის და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენის მიზნით. ის უზიარებს კვლევის შედეგებს და ექსპერტთა დასკვნებს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, Busirless Chamber-ის წევრებს და საზოგადოებას.

კვლევითი ინსტიტუტი, ბიზნესპალატის მმართველი გუნდის ჩართულობით, კოორდინაციას უწევს ბიზნესპალატის მისიის, ხედვის, სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრას და მათ განხორციელებას.

2. კვლევის პრიორიტეტები

გეოპოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ფაქტორების, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების, სამართლებრივი რეგულაციების, საბაჟო რეჟიმების, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურისა და ყველა სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კვლევითი ინსტიტუტი ახორციელებს კვლევით საქმიანობას საქართველოში და საერთაშორისო დონეზე (აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში) შემდეგი მიმართულებით:

-ხელსაყრელი საინვესტიციო სივრცეების გამოვლენა, საინვესტიციო პოტენციალის მქონე ეკონომიკის სექტორების, პროდუქტებისა და სერვისების იდენტიფიცირება;

-პოტენციური სავაჭრო დერეფნების შესწავლა, მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტებისა და სერვისების იდენტიფიცირება;
-შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის კვლევა, შრომის ბაზრის მოთხოვნების, ცოდნისა და უნარების იდენტიფიცირება, რომლებიც მოთხოვნადია ახლა ან იქნება მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

თავი II. კვლევითი ინსტიტუტის სტრუქტურული მოწყობა

3. კვლევითი ინსტიტუტის სტრუქტურული მოწყობა
1.კვლევითი ინსტიტუტის მმართველი ორგანოები არიან:
კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტი;
კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი საბჭო.
2.კვლევითი ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულებია დარგობრივი კომიტეტები.
3.კვლევითი ინსტიტუტი ახორციელებს კვლევით საქმიანობას ამ დოკუმენტის შესაბამისად შერჩეული საერთაშორისო ექსპერტების მეშვეობით.
4. კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტი

1.კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტს თანამდებობაზე 3 წლის ვადით ირჩევს აზიისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების ბიზნესპალატის საერთო კრება ხმათა სრული უმრავლესობით. კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტის ვადამდე გათავისუფლებისთვის საჭიროა ბიზნესპალატის საერთო კრების ხმების 2/3-ის თანხმობა.

5. კვლევითი ინსტიტუტის მმართველი საბჭო

1.კვლევითი ინსტიტუტის მმართველ საბჭოში შედიან ინსტიტუტის პრეზიდენტი და დარგობრივი კომიტეტის ხელმძღვანელები. კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს მმართველ საბჭოს.

6. დარგობრივი კომიტეტები

1.დარგობრივი კომიტეტის ამოცანაა უზრუნველყოს კვლევითი ინსტიტუტის ამოცანების შესრულება შესაბამის სფეროში, კერძოდ, შესაბამისი დარგის საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად ზედამხედველობის გაწევა კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, აქტიური მონაწილეობის მიღება პანელურ დისკუსიებში და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებაში, სამეცნიერო ჟურნალისთვის მასალის მომზადების კოორდინაციაში, ვორქშოფების ჩატარებაში და კომიტეტის წევრ საერთაშორისო ექსპერტებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება.

2.დარგობრივი კომიტეტი შედგება შესაბამისი დარგის საერთაშორისო ექსპერტებისგან. ექსპერტს უფლება აქვს იყოს ერთი ან რამდენიმე კომიტეტის წევრი, მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

3.დარგობრივ კომიტეტს ხელმძღვანელობს დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მმართველი საბჭო კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტის რეკომენდაციით.

4.კვლევითი ინსტიტუტის დარგობრივი კომიტეტებია:
-ვაჭრობის საერთაშორისო კომიტეტი;
-საერთაშორისო საგადასახადო და საბაჟო კომიტეტი;
-საფინანსო-ეკონომიკური კომიტეტი;
-საინვესტიციო სამართლის კომიტეტი;
-შრომის ბაზრისა და ადამიანური რესურსების განვითარების კომიტეტი;
-ინოვაციებისა და ტექნოლოგიების აქსელერაციის კომიტეტი;
-ეკოლოგიურად სუფთა ტრანსფორმაციის ხელშეწყობის კომიტეტი;
-ტურიზმის დარგობრივი განვითარების კომიტეტი;
-ჯანმრთელობის მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომიტეტი;
-სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების განვითარების კომიტეტი;
-სამშენებლო და უძრავი ქონების კომიტეტი;
-მსუბუქი და მძიმე მრეწველობის განვითარების კომიტეტი.

7. საერთაშორისო ექსპერტები

1.კვლევით ინსტიტუტში კვლევით საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა დარგის მაღალი დონის ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, რომელიც კონკურსით შერჩეული და დადასტურებულია საერთაშორისო საკვალიფიკაციო კომისიის მიერ. მათ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად, მინიჭებული აქვთ საერთაშორისო ექსპერტის სტატუსი.

2.საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, საერთაშორისო ექსპერტებს ენიჭებათ პირველი, მეორე და მესამე რანგის საერთაშორისო ექსპერტის სტატუსი.

თავი III. კვლევის ინსტიტუტის მუშაობის ფორმატი და კვლევითი საქმიანობის წარმართვის წესი

8.კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის ფორმატი

კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობა ხორციელდება შემდეგი ფორმატით:

- კვლევითი პროექტების განხორციელება;
- მმართველთა საბჭოს სხდომები;
- კომიტეტისა და ჯგუფის შეხვედრები;
- კვარტალური პანელური დისკუსიები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
- ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმები;
- ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი.

საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების კვლევითი ინსტიტუტის (RIITI) ექსპერტები

ქალბატონი ნათია თურნავა

განათლება

-დიდ ბრიტანეთში 2014 წელს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხით დაამთავრა კუმბრიის უნივერსიტეტი.

-2005 - 2006 წლებში გადიოდა სხვადასხვა კურსებს აშშ-ში ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ კენედის სახელობის სამთავრობო სკოლის ეგიდით.

- 1994 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაასრულა ასპირანტურა და მიიღო დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში.

-1990 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლა.

სამეცნიერო ხარისხები

დოქტორი ეკონომიკაში

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

სამუშაო გამოცდილება

ეკავა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის თანამდებობა. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საფინანსო სფეროში. გასულ წლებში მისი საქმიანობა დაკავშირებული იყო: საპარტნიორო ფონდთან, ინდუსტრიულ ჯგუფთან, საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასთან, საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ უსაფრთხოების საბჭოსთან, თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, სახელმწიფო კანცელარიასთან და ფინანსურ დეპარტამენტთან.

პროფესორი, დოქტორი ზვიად გაბისონია

პროფესორსა და დოქტორ ზვიად გაბისონიას აქვს 25 წლიანი გამოცდილება ბიზნეს სამართლის სფეროში. 2004 წლიდან ხელმძღვანელობს ბიზნეს სამართლის საკონსულტაციო კომპანია „GLS Holding“-ს. მისი პრაქტიკის სფეროებია: ბიზნეს ტრანზაქციები, კორპორატიული სამართალი, საინვესტიციო სამართალი, საერთაშორისო
კერძო სამართალი (IPL), საბანკო სამართალი და ტექნოლოგიების სამართალი.

პროფესორი გაბისონია ფლობს სამართლის დოქტორის ხარისხს და არის პროფესორი 2002 წლიდან (ბრემენის უნივერსიტეტი (გერმანია), თსუ, სტუ (საქართველო), არის კვლევითი ცენტრის დირექტორი და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (საქართველო) პროფესორი.

მისი გამოცდილება ასევე დაკავშირებული იყო შემდეგ მიღწევებთან:

- 5 წიგნისა და 40 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, რამდენიმე კანონპროექტის თანაავტორი.

-სამეცნიერო სტაჟირება ჰამბურგის უნივერსიტეტში, მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტში, ფრანკფურტის ვიადრინის ევროპულ უნივერსიტეტში, ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში (აშშ)

- ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის (EOSC) აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და განათლებისა და მეცნიერების ექსპერტი. საქართველოს პარლამენტის კომიტეტი (ევროკავშირის პროექტი)

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის „ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ ხელმძღვანელი.

- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი.

- საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიების ცენტრის (ISTC) მმართველი საბჭოს წევრი და საქართველოს წარმომადგენელი.

- მმართველი საბჭოს წევრი - ევროპული სტრატეგიული ფორუმი კვლევითი ინფრასტრუქტურის შესახებ (EU), ევროპის კვლევის არეალი და ინოვაციების კომიტეტი, ევროპის ღია მეცნიერების ღრუბელი (EOSC), ევროპის კვლევითი საბჭოს ეროვნული საკონტაქტო წერტილი (ERC), ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამა. ჰორიზონტი 2020“, EURAXESS საქართველოს დირექტორი (EURAXESS.GE).

ქალბატონი გვანცა მელაძე

ქ-ნი გვანცა მელაძის კარიერა ითვლის 25-წლიან გამოცდილებას ეკონომიკის განვითარების პროექტებში სამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათი ძირითადი პროფილია პრივატიზაცია, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, კლასტერების განვითარებაზე, ეკონომიკურ დივერსიფიკაციაზე, FDI და ექსპორტის ხელშეწყობაზე. ეკონომიკის სამინისტროში საჯარო სამსახურის დასრულების შემდეგ გადავიდა კერძო სექტორში და იყო საქართველოს მთავრობისა და ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის საერთაშორისო ვაჭრობისა და განვითარების მრჩეველი სხვადასხვა საერთაშორისო განვითარების პროექტების მეშვეობით და ასევე არის ექსპორტის მენეჯერების ლექტორი კურსები კავკასიის უნივერსიტეტში. ქალბატონმა მელაძემ მიიღო MBA ხარისხი გლობალურ მენეჯმენტში
გრენობლის ბიზნეს სკოლაში და მოიპოვა დიდი ბრიტანეთის მთავრობის სტიპენდია ედინბურგის უნივერსიტეტის შედარებითი საჯარო პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრის წოდებით.
წამყვანი ევროპული საექსპორტო საკონსულტაციო ფირმის Gateway & Partners ფრენჩაიზის დირექტორი საქართველოს რეგიონული განვითარების ასოციაციის მმართველი პარტნიორი საქართველოს ექსპორტის განვითარების ასოციაციის გამგეობის

წევრი
საქართველოს ფერმერთა ასოციაციის გამგეობის წევრი
კლასტერული ბენჩმარკინგის სერტიფიცირებული ექსპერტი
კლასტერული ანალიზის ევროპის სამდივნო.

მუჰამედ მუსტაფა სალამა

განათლება: დასრულებული სტრატეგიის ლიდერი კონსულტაციის, ოპერაციების ან სტრატეგიის დაგეგმვის ფართო გამოცდილებით და გაყიდვების მენეჯმენტის, მარკეტინგის მენეჯმენტის, ბრენდის მენეჯმენტის ბიზნესის დაგეგმვის, სტრატეგიის მიმოხილვისა და ფორმულირების, სტრატეგიული

პროექტების, კორპორატიული ინიციატივების, ზრდისა და დივერსიფიკაციისა და აზროვნების ლიდერობის უნარებით.
სამუშაო სფეროები: ბრენდის მენეჯმენტი; მარკეტინგის მენეჯმენტი; გაყიდვების მენეჯმენტი; ბიზნესის განვითარება; გუნდის განვითარება; საერთაშორისო ვაჭრობა.
დასრულებული სტრატეგიის ლიდერი კონსულტაციის, ოპერაციების ან სტრატეგიის დაგეგმვის ფართო გამოცდილებით და გაყიდვების მენეჯმენტის, მარკეტინგის მენეჯმენტის, ბრენდის მენეჯმენტის ბიზნესის დაგეგმვის, სტრატეგიის მიმოხილვისა და ფორმულირების, სტრატეგიის პროექტების,დივერსიფიკაციისა და ლიდერული აზროვნების უნარებით.
-ბიზნესის განვითარების მენეჯერი - KSA| Sawary Trading & Contracting
-ბიზნესის განვითარების მენეჯერი - KSA| CPC Holding - Saudi Bin Laden Group / საუდის არაბეთი
-ბიზნესის განვითარების მენეჯერი - KSA| Bakheet CO მანქანებისთვის - საუდის არაბეთი
-რეგიონული მენეჯერი - აღმოსავლეთ რეგიონის მძიმე

კორპორატიული ინიციატივების, ზრდისა და ტექნიკისა და მასალების დამუშავების სამმართველო
-ანალიტიკოსი | ვაშინგტონი, აშშ
-რეგიონული სტრატეგიის ანალიტიკოსი | ვაშინგტონი, აშშ
-ვაჭრობის, თავდაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი, კანადის საელჩო; კაირო, ეგვიპტე
-ბიჯი ჯგუფის კორპორატიული ურთიერთობების ოფიცერი - ქეა საერთაშორისო; კაირო, ეგვიპტე
-სამთავრობო სტუმარი - გაცვლის მეცნიერი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი - ვისკონსინის უნივერსიტეტი კოლუმბია, ვისკონსინი, აშშ

პროფ. დოქტორი ვახტანგ ჩქარეული

პროფ. დოქტორ ვახტანგ ჩქარეულს აქვს მუშაობის გამოცდილება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. ამჟამად ის იკავებს ფინანსური დირექტორის პოზიციას კავკასიის რეგიონში სამშენებლო/დეველოპერული მასალების გაყიდვის ინდუსტრიის ერთ-ერთ უმსხვილეს B2B კომპანიაში. მანამდე დოქტორი ჩქარეული იყო ჰუალინგის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში - რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი საინვესტიციო ცენტრის საფინანსო და ანალიტიკური მიმართულების ხელმძღვანელი. გარდა ამისა, იგი ჩართულია სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, როგორც კონსულტანტი და მკვლევარი.
რაც შეეხება აკადემიურ გამოცდილებას, ბატონ ვახტანგს აქვს დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში. ის არის ასოცირებული პროფესორი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (თილისი, საქართველო).
პროფ. ჩქარეული არის მუდმივი წევრი და თავმჯდომარე ევროპის კვლევისა და განვითარების ინსტიტუტის აკადემიური საბჭო.

პროფ. დოქტორი დავით გონდაური

პროფესორი დავით გონდაური, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი და BTU-ს სამეცნიერო პრიზის ლაურეატი (2021 წელს). სს „საქართველოს რკინიგზის“ ფინანსური მრჩეველი. ევრაზიის ლოგისტირების კვლევითი ცენტრის "EUMMAS"-ის დირექტორი. 2020 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში თემაზე: "რკინიგზის აბრეშუმის გზის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ზრდისთვის.

2009 წლიდან ეწევა აკადემიურ და კვლევით საქმიანობას. 2007 წლიდან მუშაობს სს "საქართველოს რკინიგზაში" ანალიტიკური მიმართულებით სხვადასხვა პოზიციებზე.

2018-2019 წლებში მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში მრჩევლად. დავით გონდაურის სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის საერთაშორისო. არის სამეცნიერო მონოგრაფიების ავტორი.

პროფესორი, დოქტორი მარიამ ლაშხი

საქართველოს პარლამენტის წევრი: 15 წლიანი გამოცდილება საჯარო და კერძო სექტორში, საერთაშორისო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში. მარიამი არის ინოვაციების ჩემპიონი, რომელიც დაჯილდოვებულია როგორც ქალი ლიდერი მთავრობაში ქვეყანაში საინოვაციო პოლიტიკის შემუშავების

პროცესში გაწეული ძალისხმევისთვის. ის არის გენდერის ადვოკატი, რომელიც ხელს უწყობს ქალებს ტექნიკური ინიციატივების განხორციელებაში საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭოს მეშვეობით. მარიამი არის ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტის წევრი, რომლის მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს პოზიტიურ ცვლილებებში. იგი ასევე არის:

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (BTU)
- დეპუტატი | საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე | საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრი,
- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) თავმჯდომარის მოადგილე.
- დონორებისგან შეაგროვა $10 მლნ-ზე მეტი
- იყო ნომინირებული და დაჯილდოვდა როგორც წლის საუკეთესო მენეჯერი.
- კონსულტაცია გაუწია განვითარებადი ბაზრის ქვეყნებს ინოვაციური პოლიტიკის დანერგვისას.

პროფესორი ჰარალდ პროიდლი

პროფესორი ჰარალდ პროიდლი ფლობს მაგისტრის და დოქტორის ხარისხს ეკონომიკაში და 20 წელზე მეტია მუშაობს ენერგეტიკის სექტორში. 2011 წლიდან არის განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის დირექტორი ავსტრიის მარეგულირებელ ორგანოში“E-Control”.

ის პასუხისმგებელია ავსტრიაში RES-ის მონიტორინგზე, სუბსიდირების სქემებიზე, GO-სა და გამუღავნების სისტემების შეფასებაზე ელექტროენერგიისა და გაზის, მობილურობის,

ენერგეტიკული საკითხებისა და ა.შ. საერთაშორისო დონეზე. ჰარალდ პროიდლი აქტიურად არის ჩართული CEER-ის მუშაობაში. იგი არის ERRA-ს RES კომიტეტის თავმჯდომარე.
გარდა ამისა, იგი იყო პროექტის ლიდერი და მთავარი ექსპერტი ევროკავშირის დაფინანსებული პროექტებისთვის საქართველოს, უკრაინის, ჩრდილოეთ მაკედონიის, ხორვატიის, ალჟირის და ა.შ. მასშტაბებით.

ქალბატონი მარიამ ქუჩულორია

ქალბატონი მარიამი ცხოვრობს თბილისში, საქართველოში, სადაც მუშაობს კერძო სექტორში ჩართულობის მრჩევლად აშშ-ს DOL-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, „მუშაკთა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა შრომის კანონის აღსრულების გასაძლიერებლად“.

მარიამს აქვს კერძო, საჯარო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის დიდი გამოცდილება კერძო სექტორთან დაკავშირებულ საკითხებსა და რეფორმებზე ბიზნესისთვის შესაბამისი რეგულაციებისა და პოლიტიკის მიღება და განხორციელების პროცესში ხელშეწყობის კუთხით. ქალბატონი მარიამის სამუშაო სფერო მოიცავს ბიზნესის ადვოკატირებას, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, გაძლიერებას, კოალიციის ჩამოყალიბებას და კერძო სექტორის სათანადო ჩართულობას პოლიტიკის ადვოკატირებაში.
ქალბატონი მარიამის პროფესიული გამოცდილება მოიცავს შიდა იურიდიულ მრჩევლად მუშაობას საბანკო, სადაზღვეო, სამშენებლო, სატრანსპორტო და ენერგეტიკის სექტორებში. ქალბატონმა მარიამმა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს საჯარო საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი. იგი ასევე სწავლობდა საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ სამართალს ჩიკაგო-კენტის სამართლის კოლეჯის ამერიკული სამართლის სკოლაში.

ბატონი გიგა ფაიქიძე

გიგა ფაიქიძეს აქვს 16 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს წამყვან კომერციულ ბანკებში, ასევე წლების განმავლობაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საქართველოს ეროვნულ ბანკში. ბატონ გიგას ასევე აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთანკონსულტანტად მუშაობის გამოცდილება.
გიგა არის "მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ასოციაციის (SMEDA)" დამფუძნებელი და დირექტორი.

პროფესორი, დოქტორი ნინო ჯოლია

დოქტორ ნინო ჯოლიას აქვს 17 წელზე მეტი ინტენსიური ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილება, ხოლო მისი იურიდიული ცოდნა მოიცავს მრავალმილიონიანი კომერციული ტრანზაქციის მართვასა და განვითარებას და კონსულტაციას სამართლებრივი შესაბამისობისა და ინვესტიციების ეფექტურობის შესახებ. ის იყო AgroPlan Georgia-ს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც საერთაშორისო აგრო კომპანიაა, მანამდე კი იყო საერთაშორისო თარმაცევტული კონცერნის Flumanity Georgia-ს (P'artnershin Fund proiect) გენერალური კონსელი.
მას აქვს ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკურ სამართალში, არის მაგისტრი ევროპულ კვლევებში (EU სამართალი), ეკონომიკის დოქტორი.

-Grant Thornton Georgia-ს იურიდიული მრჩეველთა დეპარტამენტის უფროსი
-სხვადასხვა პუბლიკაციებისა და სტატიების ავტორი ბიზნეს და იურიდიულ საკითხებზე
- სახელმძღვანელო "საერთაშორისო ეკონომიკური სამართალის" თანაავტორი
-ავტორი Forbes Georgia-ში, მოწვეული სპიკერი Women's Narrative-ში, მოწვეული სპიკერი Commersant-ში
- ტრენერი და მკვლევარი ICDC/USAID-ში
- ტრენერი GT Academy-ში
-ტრენერი CIU-ში
-მოწვეული სპიკერი/მენტორი დამფუძნებელი ინსტიტუტში
- კომერციული სამართლისა და საგადასახადო კომიტეტის წევრი
- EBA-ს იურიდიული კომიტეტის წევრი
- ასოცირებული წევრი GLIP-ში
- LawPort-ის წევრი

პროფესორი ნათია ჯანელიძე

CIO Georgia, Gazelle Finance
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, IsBank Georgia სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ქალი ბიზნეს ლიდერების ფედერაციაში, “ქალები ხვალ”
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, არდი დაზღვევა.

ნათია ჯანელიძე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედ საერთაშორისო საინვესტიციო ფონდ Gazelle Finance-ს 2015 წლის ოქტომბერში შეუერთდა, როგორც მთავარი საინვესტიციო ოფიცერი და მთავარი საოპერაციო ოფიცერი. ნათიას აქვს 15 წელზე მეტი პროფესიონალური საბანკო გამოცდილება მცირე და საშუალო ბიზნესის და კორპორატიული დაფინანსების

სფეროში და ეკავა ლიდერის პოზიციები TBC ბანკსა და ბანკ რესპუბლიკაში (სოსიეტე ჟენერალის ჯგუფის წევრი) და საქართველოს ორ წამყვან ბანკში.
ამჟამად ნათიას უკავია სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის პოზიციები სხვადასხვა დარგის ქართულ და საერთაშორისო კომპანიებში. 2019 წლიდან ნათია არის ISBANK Georgia-ს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, თურქული ბანკის უმსხვილესი შვილობილი კომპანია საქართველოში.2021 წლიდან ნათია არის ფედერაცია Women for Tomorrow-ს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი. 2022 წლიდან ნათია არის არდი სადაზღვევო ჯგუფის დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი სადაზღვევო კომპანიაა საქართველოში.
ნათია ფლობს მაგისტრის ხარისხს მისურის-კოლუმბიის უნივერსიტეტში და დოქტორის ხარისხს ფინანსებსა და საბანკო საქმეში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან. ნათია სრულყოფილად ფლობს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.

პროფესორი, დოქტორი მაია მელიქიძე

ქალბატონი მაია მელიქიძე არის ჰარვარდის უნივერსიტეტის აღმასრულებელი MBA კურსდამთავრებული გლობალური სტრატეგიის მენეჯმენტის მიმართულებით. გარდა ამისა, მას აქვს აკადემიური განათლება საერთაშორისო ეკონომიკურ სამართალში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ამჟამად მუშაობს განახლებადი ენერგიის საკითხებზე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (Silicon Valley Thilisi); 2017 წლის ივლისში ქალბატონი მელიქიძე აირჩიეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ

ეროვნულ კომისიაში 6 წლის ვადით კომისრის პოზიციაზე. მანამდე იგი მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტთან, ბატონ გიორგი მარგველაშვილთან ეკონომიკის საკითხების მრჩევლად. მანამდე ქ-ნ მელიქიძეს 12 წლის განმავლობაში კერძო სექტორში მუშაობისას დიდი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი, მათ შორის: საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიაში „ერნსტ ენდ იანგში“ მუშაობდა უფროს აუდიტორად; სს საქართველოს ბანკი - 'საგადასახადო ანალიტიკოსი; სს ლიბერთი ბანკი - საქართველოს ეროვნული ბანკისა და IFRS აუდიტის თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი. ქალბატონი მელიქიძე ამავდროულად ჩართულია სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს ახალი თაობის კეთილდღეობას.ის არის ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც უნიკალურ საგანმანათლებლო გამოცდილებას ანიჭებს ბიზნესის ტექნოლოგიაში ინტეგრირებით და ინოვაციების ხელშეწყობით. იგი მხარს უჭერს Silicor Valley Tbilisi-ს და ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ექსპორტიორი ენერგიის საკითხებში; მან გამოაქვეყნა რამდენიმე კვლევა საქართველოში განახლებადი ენერგიის წყაროების ხელფასების გაზრდის შესახებ და დააარსა განახლებადი ენერგიის რესურსების ლაბორატორია, რომელიც მუშაობს საქართველოში განახლებადი ენერგიის წარმოების სამართლებრივ და ეკონომიურ შეფასებებზე. ქალბატონი მელიქიძე ასევე არის Forbes-ის რამდენიმე პუბლიკაციის ავტორი, რომლებიც ფოკუსირებულია უმუშევრობის შემცირებასა და ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფაზე, საფინანსო ინსტიტუტების ჩართვაზე საზოგადოებრივი სიმდიდრის მობილიზებაში.

პროფ. დოქტორი ცოტნე ჟღენტი

პროფესორ ცოტნე ჟღენტს აქვს დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში და აქვს აკადემიური და ბიზნეს კვლევების გამოცდილება საჯარო ან კერძო სექტორისთვის. ის მუშაობს ასოცირებულ პროფესორად ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (თბილისი, საქართველო) და მისი ძირითადი კვლევითი ინტერესები მოიცავს ციფრულ ეკონომიკას, ინსტიტუციონალურ ეკონომიკას, მაკროეკონომიკას, ცირკულარულ ეკონომიკას. პროფესორი ჟღენტი აქტიურად არის ჩართული რამდენიმე აკადემიური ჟურნალისა და საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის საბჭოში. პროფესორი ჟღენტი ასევე არის სამეცნიერო საზოგადოების მუდმივი წევრი და ევროპის კვლევისა და განვითარების ინსტიტუტის საორგანიზაციო საბჭოს თავმჯდომარე.

ბატონი ვლადიმერ ბეჟაშვილი

საინვესტიციო და საფინანსო ასოციაციის პრეზიდენტი
ჰოლდინგის მმართველი პარტნიორი - EBIT Group (კონსულტაცია. განათლება, აუდიტი, პროგრამული უზრუნველყოფა)
საინვესტიციო პლატფორმის EBI TA.ge-ს მმართველი პარტნიორი ვლად ბეჟაშვილი არის ექსპერტი ინვესტიციების მართვის მიმართულებით. ბიზნეს მოდელირება, ცვლილებების მენეჯმენტი, კორპორატიული ფინანსები, რისკების მენეჯმენტი მისი სამუშაო სფეროებია. მას აქვს 5 წელზე

მეტი გამოცდილება აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციებზე როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მსხვილ კორპორაციებში. მან განახორციელა 100-ზე მეტი წარმატებული პროექტი ბიზნეს კონსულტაციის ფარგლებში. კარიერის განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა ისეთ ბიზნეს სექტორებს, როგორიცაა; დაზღვევა, წარმოება, INCS, ნავთობი, სამთავრობო დაწესებულებები.

დამატებითი ინფორმაცია

მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს:
www.bcage.org

საკონტაქტო ინფორმაცია:

ოფისი: +995 322 11 22 88
მობილური: +995 551 33 55 88
მისამართი: ნიკოლოზ ბარათაშვილის #12
თბილისი, საქართველო, 0108
ელ.ფოსტა: info@beage.org
Researcg,institute@beage.org
ვებ-გვერდი: www.beage.org